



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №126

2013 წლის 23 აგვისტო
ქ.ქობულეთი

**შ.პ.ს. „ტორფი“-სათვის ქ.ქობულეთში, თავისუფლების ქუჩა
№23-ში მშენებარე ავტოგასამართ სადგურამდე საშუალო წნევის
გაზსადენის ქსელის მშენებლობისათვის საჭირო გათხრითი სამუშაოების
წარმოებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე**

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის №57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა შ.პ.ს. „ტორფი“-ს თანდართული სქემების შესაბამისად ქ.ქობულეთში, თავისუფლების ქუჩა №23-ში მშენებარე ავტოგასამართ სადგურამდე საშუალო წნევის გაზსადენის ქსელის მშენებლობისათვის საჭირო გათხრითი სამუშაოების წარმოებაზე;

2. შ.პ.ს. „ტორფი“-მა უზრუნველყოს საშუალო წნევის გაზსადენის ქსელის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან. (შ.პ.ს.„ანეტ A-NET“-ი, შ.პ.ს. „ფოპნეტი“, შ.პ.ს. „სილქნეტი“-ს აჭარის ფილიალი, ს.ს. „ენერგო-პროჯორჯია“, შ.პ.ს. „ქობულეთის წყალკანალი“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტემენტი);

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობისა და ზედამხედველობის სამსახურებს (ბ.რომანაძე, ბ.დიასამიძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ე.ბაგრატიონი